

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი  
სატენდერო კომისიის ოქმი N1

სოფელი ოდიში

03 აპრილი 2018წ.

სხდომის დაწყების დრო: 15:00სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

*ქეთო კიკალიშვილი-კომისიის თავ-რე  
რუსუდან ქირია-კომისიის წევრი;  
გიორგი მალანია-კომისიის მდივანი;  
გივი ზურებიანი-სატენდერო კომისიის აპარატის წევრი;  
ცირა სართანია-სატენდერო კომისიის აპარატის წევრი;*

კომისიის თავჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი:**

1. სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ოდიშის N2 საჯარო სკოლის მე-2 სართულის დერეფნის რეაბილიტაციის მომსახურებისათვის(CPV-45400000)ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის ბიუჯეტიდან და სკოლის თანადაფინანსებით შესასყიდად 2018 წლის 03 აპრილის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 5

წინააღმდეგი:-0

მოისმინეს: სკოლის სატენდერო კომისიის აპარატის თავმჯდომარემ სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის წევრებს წარუდგინა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია. ასევე შესასყიდი ობიექტის სავარაუდო ღირებულება.

აზრი გამოთქვეს: სატენდერო კომისიის წევრებმა ცირა სართანიამ და რუსუდან ქირიამ აღნიშნეს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის მისაღწევად აუცილებელი პირობაა კეთილმოწყობილი სასწავლო გარემო. აქედან გამომდინარე, საჭიროა სკოლის მე-2 სართულის დერეფნის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება და, შესაბამისად, ამ სამუშაოების ჩასატარებლად, ტენდერის გამოცხადება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 0


სატენდერო კომისიამ დაადგინა:


1. დამტკიცდეს სატენდერო განცხადების ტექსტი, სატენდერო დოკუმენტაცია და შესყიდვების ობიექტის სავარაუდო ღირებულება;


2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 12280 ლარის (თორმეტიათას ორას ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ოდენობით, რომელიც დაფინანსდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის ბიუჯეტიდან-8000ლ.(რვაათასი ლარი), ხოლო სკოლის თანადაფინანსებით-4280ლ.(ოთხიათას ორასოთხმოცი ლარი ) დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განთავსება შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სხდომის დასრულების დრო: 16:00 სთ.

სხდომის ოქმს ხელს აწერენ

1.კომისიისა და აპარატის თავმჯდომარე:  /ქ.კიკალიშვილი/

2.წევრი:  /რ. ქირია/

3. წევრი:  /გ.მალანია/

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

1. წევრი:  /გ.ზურებიანი/

2. წევრი:  /ც.სართანია/